საანგარიშო პერიოდში, ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა

ფისკალური გადაწყვეტილებების ეფექტიანობის გაუმჯობესების მიზნით, 2020 წლის განმავლობაში მუდმივად ხორციელდებოდა სახელმწიფო ფინანსების მართვის ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემის (PFMS) დახვეწა, ბიზნეს-პროცესების გამარტივება და არსებული საინფორმაციო სისტემის მოდერნიზება.

საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესების და საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების (IPSAS) დანერგვის სამოქმედო გეგმის ფარგლებში, საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) რეკომენდაციების შესაბამისად, დარიცხვის მეთოდის შესაბამისი IPSAS სტანდარტების საფუძველზე მომზადდა ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის პროექტი, რომელიც დამტკიცდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 15 იანვრის № 17 ბრძანებით და რომლის შესაბამისად სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფმა ორგანიზაციებმა ბუღალტრული აღრიცხვა უნდა აწარმოონ 2020 წლის 1 იანვრიდან დაწყებული პერიოდისათვის. გარდა ამისა, მომზადდა და ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის № 108 ბრძანებით დამტკიცდა „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ ინსტრუქცია“. ასევე, IPSAS-ების მოთხოვნების გათვალისწინებით მომზადდა „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ცვეთის/ამორტიზაციის ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის შესახებ ინსტრუქციის” პროექტი, რომელიც დამტკიცდა ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 2 დეკემბრის №289 ბრძანებით. გარდა ამისა, საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) ტექნიკური დახმარების ფარგლებში, IPSAS სტანდარტების საფუძველზე შემუშავდა ფინანსური ანგარიშგების ფორმები და დანართები (რომელიც დამტკიცდა ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 4 თებერვლის №24 ბრძანებით). ფინანსთა სამინისტროს აკადემიასთან თანამშრომლობით განხორციელდა ტრენინგები როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრებისთვის, ასევე, ადგილობრივი ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრებისთვისაც, რაც გულისხმობდა საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) საფუძველზე შემუშავებული აღრიცხვის და ანგარიშგების მეთოდოლოგიის სწავლებას. გარდა ამისა, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურსა და ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციას (IFAC) შორის 2012 წლის 26 ნოემბერს გაფორმებული მემორანდუმის შესაბამისად, GIZ-ის დაფინანსების ფარგლებში ითარგმნა IPSAS სტანდარტების 2018 წლის ვერსიიდან რამდენიმე სტანდარტი/პუბლიკაცია. ამასთან, სახაზინო სამსახურის რესურსებით, ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) თარგმნის და რედაქტირების შესახებ შესაბამისი პოლიტიკის დოკუმენტების მოთხოვნების გათვალისწინებით განხორციელდა 2018 წლის ვერსიაში შესული სტანდარტების ნაწილის თარგმნა/რედაქტირება.

2020 წლის განმავლობაში მუდმივად ხორციელდებოდა ბიუჯეტების აღრიცხვა- ანგარიშგებების წარმოების დახვეწა და სრულყოფა. დღეისათვის სახელმწიფო ხაზინა აწარმოებს სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრული სსიპ-ების და ა(ა)იპ-ების ბიუჯეტების შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების აღრიცხვას, ანგარიშგებას და ანგარიშსწორებას, სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშის და სახელმწიფო ხაზინის სხვა სალარე და სავალუტო ანგარიშების მართვას, ოპერირებას და აღრიცხვას, ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი თანხების დაბრუნებას, აღრიცხვას და ანგარიშგებას, სახელმწიფო ხაზინის მიერ კომერციულ ბანკებში განთავსებული თანხების აღრიცხვას, მართვას და ანგარიშგებას და სხვა. ყოველდღიურ საქმიანობასთან ერთად მუდმივად ხდებოდა აღრიცხვისა და ანგარიშსწორების პროცესის საოპერაციო ციკლის სრულყოფა და ოპერატიულობის გაუმჯობესება, ანგარიშგებების ფორმების დახვეწა და ახალი, უფრო ინფორმატიული ანალიტიკური ფორმების შემუშავება.